

## წმინდა მოგების განაწილება 2601

### ფაქტობრივი გარემოებები

შპს „X“ 2017 წლის მანძილზე მიღებული აქვს 500 000 ლარის შემოსავალი (ბასს-ის შესაბამისად). ამავე წელს გაწეულმა ფინანსურმა ხარჯებმა შეადგინა 400 000 ლარი. დივიდენდის სახით საწარმომ დამფუძნებელ ფიზიკურ პირს გაუნაწილა 50 000 ლარი, ამასთან, მოგების გადასახადი დაირიცხა და გადაიხადა 8 823 ლარი ( $50\,000/0,85 \cdot 15\% = 8\,823$ ) და გადახდის წყაროსთან დააკავა დივიდენდის 5% - 2500 ლარი.

შედეგად დამფუძნებელმა დივიდენდის სახით საწარმოდან მიიღო 47 500 ლარი.

### შეფასება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის თანახმად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება.

ამავე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის შედეგად.

სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

### ღონისძიებები

საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

**ანოტაცია**  
**„წმინდა მოგების განაწილება“ №2601**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს წმინდა მოგების განაწილების მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ 2017 წლის მანძილზე მიღებული აქვს 500 000 ლარის შემოსავალი (ბასს-ის შესაბამისად). ამავე წელს გაწეულმა ფინანსურმა ხარჯებმა შეადგინა 400 000 ლარი. დივიდენდის სახით საწარმომ დამფუძნებელ ფიზიკურ პირს გაუნაწილა 50 000 ლარი, ამასთან, მოგების გადასახადი დაირიცხა და გადაიხადა 8 823 ლარი ( $50\,000/0,85 \cdot 15\% = 8\,823$ ) და გადახდის წყაროსთან დააკავა დივიდენდის 5% - 2500 ლარი. შედეგად დამფუძნებელმა დივიდენდის სახით საწარმოდან მიიღო 47 500 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის თანახმად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ამავე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

შესაბამისად, საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.